ხელშეკრულება მომსახურების მიღებაზე
N-486 CPV 72300000

SCF 20141101 / UID8240
31 ოქტომბერი 2014

ერთის მხრივ **შპს მარგალიტი ლიმიტედი,** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **თინათინ მარგალიტაძის** სახით (შემდგომში **კომპანია**) და

მეორეს მხრივ **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**, წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის **ნათია მიქელაძის** სახით (შემდგომში **მომხმარებელი**)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ვადა, ღირებულება და ანაზღაურების პირობები

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონით სარგებლობის უფლება, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში, მისამართზე www.dict.ge და/ან www.dictionary.ge.

1.2 მომსახურების მიღების (ლექსიკონით სარგებლობის უფლების) პერიოდია: **2014 წლის 1 ნოემბერი - 2014 წლის 31 დეკემბერი.**

1.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 2 თებერვლის ჩათვლით.**

1.4 მომსახურების ღირებულება მოცემულ პერიოდზე შეადგენს: **100.00** (ასი ლარი 00 თეთრი) ლარს.

1.5 მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება: **შემდგომი გადახდის** წესით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა)

2. ლექსიკონის შესახებ

2.1 დიდი ინგლისურ-ქართულ ონლაინ ლექსიკონი წარმოადგენს ინტერნეტში განთავსებულ ვებ-აპლიკაციას, რომელიც მოიცავს 110,000-ზე მეტი სიტყვა-სტატიას. ლექსიკონში სრულადაა ასახული ინგლისური სიტყვების პოლისემია, შეტანილია მრავალი შესიტყვება, ფრაზული ზმნა და ფრაზეოლოგიური ერთეული. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, ხელოვნების და სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ლექსიკონში შესული სრული მასალა 800 000-მდე ერთეულს აღწევს.

2.2 თითოეული სიტყვა-სტატია წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს და მას იცავს საქართველოს კანონმდებლობა.

2.3 ლექსიკონის გამოყენებით, მომხმარებელი ეთანხმება, რომ იცნობს ლექსიკონს და აკმაყოფილებს მისი შესაძლებლობები.

3. მომსახურების მიღება

3.1 მომსახურების მიღება გულისხმობს ლექსიკონზე დაშვებასა და მისი გამოყენების შესაძლებლობას მომხმარებლის ოფის(ებ)ის ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული სისტემებიდან დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

3.2 ლექსიკონით სარგებლობის უფლება მომსახურების პერიოდში, მომხმარებლის ოფის(ებ)ის ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული სისტემებისთვის აქტიურდება ავტომატურად, მომხმარებლის მიერ წინასწარ მოწოდებული გარე სტატიკური IP მისამართ(ებ)ის მიხედვით.

3.3 ლექსიკონით სარგებლობა შესაძლებელია მომხმარებლის ოფის(ებ)ის ინტერნეტ ქსელში ჩართული ნებისმიერი რაოდენობის ისეთი თანამედროვე კომპიუტერული სისტემიდან, რომელიც იძლევა ინტერნეტ ვებ-საიტების სრულფასოვნად ასახვისა და მასთან ინტერაქციის შესაძლებლობას.

3.4 ლექსიკონზე დაშვებისთვის განსაზღვრული IP მისამართების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 (ათი) ერთეულს.

3.5 კომპანიასა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია ხორციელდება უპირატესად ელ. ფოსტის საშუალებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს დავით გიგინეიშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს დავით გიგინეიშვილს.

5. მხარეთა ვალდებულებები და უფლებამოსილება

5.1 კომპანია ვალდებულია:
ა) განახორციელოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების დაცვით.
ბ) დაამატოს, ჩაანაცვლოს ან წაშალოს მომხმარებლის მიერ მოწოდებული IP მისამართ(ებ)ი 48 საათის ვადაში.

5.2 კომპანია უფლებამოსილია:
ა) გადაამოწმოს გამოიყენება თუ არა მომხმარებლის მიერ მოწოდებული IP მისამართ(ებ)ი მომხმარებლის ოფის(ებ)ის ინტერნეტ ქსელში.
ბ) წაშალოს ან უარი თქვას IP მისამართ(ებ)ის დამატებასა ან ცვლილებაზე თუ ის(ინი) არ გამოიყენება მომხმარებლის ოფის(ებ)ის ინტერნეტ ქსელში.

5.3 მომხმარებელი ვალდებულია:
ა) მიიღოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების დაცვით.
ბ) მიაწოდოს კომპანიას მომსახურების მიღებისთვის საჭირო, მისი ოფის(ებ)ის ინტერნეტ ქსელის გარე სტატიკური IP მისამართ(ებ)ი.
გ) აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების თანახმად.

5.4 მომხმარებელი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს კომპანიისგან მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების თანახმად

6. კონფიდენციალობა

6.1 კომპანია იძლევა გარანტიას, რომ მომხმარებლის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციის (მომხმარებლის სახელი, პაროლი, ელ-ფოსტის მისამართი, IP მისამართი და/ან სხვა ტექნიკური ინფორმაცია), რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მომსახურების მიწოდების პროცესში, არ გადასცემს მესამე პირ(ებ)ს და არ გამოიყენებს იმ საჭიროების გარდა, რაც აუცილებელია ლექსიკონით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.2 გარკვეული ინფორმაცია, რომელიც არ იძლევა მომხმარებლის იდენტიფიცირების საშუალებას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სტატისტიკის და/ან ანალიტიკის მიზნებისთვის.

6.3 მომხმარებელი აძლევს უფლებას კომპანიას განათავსოს მისი ლოგო და დასახელება კლიენტების ჩამონათვალში.

7. ტექნიკური მხარდაჭერა და განახლებები

7.1 მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ტექნიკური მხარდაჭერა კომპანიისგან ლექსიკონის მუშაობაში წარმოქმნილ შეფერხებებთან დაკავშირებით. ტექნიკური მხარდაჭერა მოიცავს საკითხის შესწავლას, რეაგირებას, რჩევა-დარიგებებს ლექსიკონის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ა.შ.

7.2 მომხმარებლის კომპიუტერული ქსელის, სისტემებისა და ა.შ. გამართულობაზე პასუხისმგებელია მომხმარებელი.

7.3 მომხმარებელი ავტომატურად სარგებლობს ლექსიკონის სისტემის ან მონაცემთა ბაზის განახლებული ვერსიებით.

7.4 მომხმარებელთა მხარდაჭერის ძირითად საშუალებას წარმოადგენს შესაბამის გვერდზე განთავსებული კონტაქტის ფორმა ან მხარეთა რეკვიზიტებში მითითებული ელ. ფოსტა.

8. პასუხისმგებლობა

8.1 კომპანია არ არის პასუხისმგებელი ლექსიკონში განთავსებული მასალის გამოყენებით, გამოუყენებლობით, ამ შესაძლებლობების ქონის ან არქონის შემთხვევაში განცდილი ნებისმიერი ზიანის ან დანაკარგის შემთხვევაში, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

8.2 კომპანია არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ლექსიკონის გამოყენება შეუძლებელია მომხმარებლის კომპიუტერული ქსელის ან სისტემის გაუმართაობით და ა.შ. ან მესამე პირების (ინტერნეტ-პროვაიდერი, ჰოსტინგ-პროვაიდერი და ა.შ) მიზეზით.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10. შეზღუდვა

10.1 მომხმარებელს არ აქვს უფლება გაასხვისოს მის მიერ შეძენილი მომსახურება ან/და მასზე წვდომის საშუალებები ორგანიზაციის სპეციალური თანხმობის გარეშე.

10.2 ორგანიზაცია იტოვებს უფლებას შეზღუდოს მომხმარებლის წვდომის საშუალებები თუ:
ა) მომხმარებელი უხეშად არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს
ბ) მომხმარებელი დაარღვევს მომხმარებელსა და ორგანიზაციას შორის შეთანხმებულ გადახდის პირობებს.

11. დასკვნითი დებულებები

11.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.3 საკითხები, რომლებიც არ არის ან არასრულად არის განხილული ხელშეკრულებაში, წესრიგდება ზეპირი მოლაპარაკების გზით და/ან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) გვერდად, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

12. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს მარგალიტი ლიმიტედი

ს/კ: 202164736
მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. 10, ბ. 18
ელ. ფოსტა: contact@dictionary.ge

საბანკო რეკვიზიტები:
სს თიბისი ბანკი, TBCBGE22
GE92TB0729736080100001

თინათინ მარგალიტაძე
დირექტორი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ს/კ: 203840433
მისამართი: ქ. თბილისი 0108, ჭანტურიას ქ. №12
ელ. ფოსტა: zsichinava@economy.ge
ტელ.: (032) 299 11 11
595 258000

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22
200122900

ნათია მიქელაძე
მინისტრის მოადგილე

31 10

3